ნამაზზე როდის უნდა ავწიოთ ხელები მაღლა?

مواضع رفع اليدين في الصلاة

< ქართული -Georgian – الجورجية >

ავტორი: მუჰამმედ სალიჰ ალ-მუნაჯჯიდ
اسم المؤلف: شيخ محمد صالح المنجد

მთარგმნელი: ნოდარ დავითაძე
რეფერატი: ვეისელ ორუჯოვი

ترجمة:نودار (شعبان) داويتادز
مراجعة: ويصل أروجوف

بِسْمِ اللَّهِ الرَّحْمَٰنِ الرَّحِيمِ

კითხვა: ნამაზზე ხელების მაღლა წამოწევის საკითხი მინდა შევისწავლო? ამის შესახებ რომელია სწორი ფორმა?

პასუხი: დიდება ალლაჰს!

ნამაზის მლოცველისთვის ოთხ ადგილას ხელების მაღლა წამოწევა სუნნეთია.

1. საწყისი თაქბირის დროს (იფთითაჰ თაქბირი).
2. რუქუღზე წასვლისას.
3. რუქუღიდან წამოდგომისას.
4. პირველი თაშაჰჰუდიდან წამოდგომისას. (ოთხ მუხლიან ნამაზებზე პირველი ორი მუხლის შემდეგ ცოტახნით დაჯდომის შემდეგ წამოდგომისას.)

ამის არგუმენტი კი შემდეგია:

كَانَ ابْنُ عُمَرَ إِذَا دَخَلَ فِي الصَّلاَةِ كَبَّرَ، وَرَفَعَ يَدَيْهِ وَإِذَا رَكَعَ رَفَعَ يَدَيْهِ، وَإِذَا قَالَ سَمِعَ اللَّهُ لِمَنْ حَمِدَهُ رَفَعَ يَدَيْهِ، وَإِذَا قَامَ مِنَ الرَّكْعَتَيْنِ رَفَعَ يَدَيْهِ. رواه البخاري وأبو داود

"იბნი ომერი (რ.ა.) როდესაც ნამაზს იწყებდა პირველი თაქბირის დროს ხელებს მაღლა წევდა. რუქუღზე წასვლისას ხელებს მაღლა წამოწევდა. სემი'ალლაჰუ ლიმენ ჰამიდეჰ რომ იტყოდა მაშინაც ხელებს მაღლა წევდა. კიდე ორი მუხლის შემდეგ ფეხზე წამოდგომისასაც ხელებს მაღლა წევდა."[1]

უზენაესმა ალლაჰმა უკეთესად იცის.

[1] ბუხარი, ტ. 5, გვ. 7; ნავავი, შერხუ საჰიჰი მუსლიმ, ტ. 4. გვ. 95; ალბანი, სიფათუ სალათი'ნ-ნაბი, გვ. 87.